



ბრძანება

N 463

31/05/2019

შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“-ისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ - სამსახური) არსებული ინფორმაციით შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“ (შემდგომ - აუდიტორული ფირმა) რეგისტრირებულია აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში (ს/ნ 416328780, სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-299465, ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 36/38).

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ ასახული უნდა იყოს ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია.

„ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ - წესი) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მე-8 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია აუდიტორული და პროფესიული საქმიანობიდან (ბოლო 3 დასრულებული კალენდარული წლის განმავლობაში) მიღებული შემოსავლების თაობაზე (მათ შორის კონსოლიდირებული სახით, პროფესიული მომსახურების განმახორციელებელი შვილობილი კომპანიის არსებობის შემთხვევაში), ხოლო მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აუდიტორული ფირმა ვალდებულია არაუგვიანეს 1 აპრილისა განაახლოს ინფორმაცია მის მიერ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებებიდან, წინა წელს მიღებული შემოსავლების და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორული ფირმას აღნიშნული წლის განმავლობაში არ მიუღია შემოსავალი, ვალდებულია შესაბამის გრაფაში ასახოს ციფრი „0“.

კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „სამსახური ვალდებულია ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის ერთდროულად ან/და ცალ-ცალ-ცალკე, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, – არათანამიმდევრულად, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

- ა.ა) წერილობითი გაფრთხილება;
- ა.ბ) საჯარო გაფრთხილება (რეესტრში ასახვით);
- ა.გ) ფულადი ჯარიმა;
- ა.დ) აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმება;

ა.ე) აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის/გარიგების პარტნიორისთვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორებისთვის/აქციონერებისთვის ფუნქციების განხორციელების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვა;”.


მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აუდიტორული ფირმა ვალდებული იყო 2018 წელს მიღებული შემოსავლებისა და თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია სამსახურისთვის წარედგინა 2019 წლის 1 აპრილამდე, თუმცა, აუდიტორული ფირმის მიერ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია დღემდე არ არის წარდგენილი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ „შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“-ისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 01 ოქტომბრის N470 ბრძანებით შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“-ს დაეკისრა სანქცია 2017 წელს მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციის დაგვიანებით წარმოდგენისთვის.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“ დაჯარიმდეს 700 ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ.ადმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე



სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური





ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

ბრძანება

N 515
28/06/2019

„შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“-ისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 31 მაისის N463 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებულ იქნა „შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“-ისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 31 მაისის N463 ბრძანება, რომლის თანახმადაც, შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“-ს დაეკისრა სანქცია. საყურადღებოა, რომ მოცემული ბრძანების პირველ აბზაცში შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“-ის ნაცვლად მითითებულია შპს „საკონსულტაციო ჯგუფიკავკასაუდიტი“, რაც წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, ვინაიდან ბრძანების შინაარსისა და მასში ასახული საიდენტიფიკაციო მონაცემების (ს/ნ 416328780, სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-299465, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 36/38) მიხედვით, ზემოაღნიშნული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ადრესატს შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“ წარმოადგენს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“-ისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 31 მაისის N463 ბრძანებაში განხორციელდეს ტექნიკური შეცდომის გასწორება და ბრძანების პირველი აბზაცის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ - სამსახური) არსებული ინფორმაციით შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“ (შემდგომ - აუდიტორული ფირმა) რეგისტრირებულია აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში (ს/ნ 416328780, სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-299465, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 36/38).“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე



სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

